მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

შენიშვნები და რეკომენდაციები

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილი 3.0 სამუშაო ვერსიის თაობაზე

10 ივლისი, 2025

საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის მესამე გამოცემა (NDC 3.0) ქვეყნის ოფიციალური კლიმატური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული დოკუმენტია. დოკუმენტის მიზანია ქვეყნის მდგრადი, დაბალანსებული, დაბალემისიიანი და კლიმატმედეგი განვითარების ხელშეწყობა, კლიმატის ცვლილების, გარემოსდაცვითი გამოწვევების და სოციალურ - ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით.

საქართველო ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის შესრულებას გეგმავს 2026 წლის 1 იანვრიდან 2035 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ზოგადი შენიშვნა

საქართველო, მიუხედავად იმისა რომ დოკუმენტით ადასტურებს გლობალურ ძალისხმევასთან შესაბამისობას, სამწუხაროდ, წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებს, მოიცავს დეკლარაციული ხასიათის მიზნებს და არ ჩანს ის ქმედებები, რომლის განხორციელებაც გაუმკლავდება ქვეყნის წინაშე არსებულ კლიმატის ცვლილებიდან მომდინარე საფრთხეებს.

რეალური ემისიების შემცირების ვალდებულების არარსებობა

დოკუმენტის (NDC 3.0) ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული პრობლემა ემისიების შემცირების წარმოსაჩენად საბაზისო წლად 1990 წლის შერჩევაა. საქართველოში ამ წლის ემისიების არარეალურად მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო ქვეყნის ინდუსტრიული მემკვიდრეობით და საბჭოური ეკონომიკის სპეციფიკით. 1990 წლის შემდეგ, მრეწველობის შემცირების ფონზე, ემისიები ჯერადობით დაეცა ქვეყანაში. შესაბამისად, დოკუმენტში განსაზღვრული ემისიების შემცირების ვალდებულების აღება 1990 წელთან შედარებით („2030 წლისთვის ემისიების 47%-ით შემცირება 1990 წელთან შედარებით“ და „50%-ით შემცირება 2035 წლისთვის“) არათუ ამბიციურია, არამედ პირიქით, გულისხმობს ქვეყანაში ემისიების გაზრდას.

გრაფიკი 1. საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილით დასახული მიზნები



როგორც ცხრილიდან ჩანს, 1990 წელთან შედარებით, ემისიების მაჩვენებელი უკვე შემცირებულია 50%-ზე მეტით 2021 წელს. შესაბამისად, ეს სტატისტიკური მიზანი უკვე მიღწეული აქვს ქვეყანას. რეალურად, 47%-იანი შემცირების ნიშნული, რომელიც ევროპის ენერგოგაერთიანების მინიმალურ მოთხოვნას წარმოადგენს, საშუალებას აძლევს საქართველოს ემისიების მკვეთრ ზრდაზე დაფუძნებულ განვითარების დაგეგმვაში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია ქვეყნის ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმაში (NECP) განსაზღვრული ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ახალი თბოელექტროსადგურების მშენებლობა, ქვეყნის გაზიფიკაცია და ნავთობისა და გაზის ახალი საბადოების მოძიება-განვითარებაზე მიმართული გეგმები.

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის საბაზისო წლის შერჩევა ეწინააღმდეგება საერთაშორისო კარგ პრაქტიკას — სადაც სამიზნეების ფორმირება ეფუძნება დაბალემისიანი ეკონომიკის განვითარებას მწვანე გარდაქმნის გათვალისწინებით.

დეკარბონიზაციის ვალდებულება

დოკუმენტი (NDC 3.0) დეკარბონიზაციას, როგორც პრიორიტეტს, საერთოდ არ განიხილავს. არ არის ყურადღება გამახვილებული იმ სისტემური ცვლილებების განხორციელებაზე, რომელიც საჭიროა ქვეყნის დაბალემისიან ეკონომიკაზე გადასასვლელად, მათ შორის, ენერგეტიკისა (სუფთა ენერგიები) და ტრანსპორტის სექტორებში.

დოკუმენტი არ საუბრობს, რა გეგმები აქვს ქვეყანას ახალი ტექნოლოგიების, მწვანე ინდუსტრიის, სუფთა ენერგიებისა, თუ დეკარბონიზაციის მიმართულებით. უფრო მეტიც, საერთოდ არ ახსენებს, რა სამიზნე მაჩვენებლებსა და ხელშემწყობ ღონისძიებებს გეგმავს ამ მიმართულებით.

NDC-ში არ არის წარმოდგენილი ისეთი ქმედებებისა, თუ მიზნების ერთობლიობა, როგორც ეს არის განსაზღვრული თუნდაც საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ინტეგრირებულ სამოქმედო გეგმაში (NECP-ში). მეორეს მხრივ, 2024 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ NECP-ში, დაბალემისიანი განვითარება მხოლოდ ნახსენებია, მის შესასრულებლად გაწერილი ქმედებები კი, პირიქით, ეწინააღმდეგება ასეთ განვითარებას: ქვეყანა გეგმავს ახალი თბოელექტროსადგურების აშენებას, გაზიფიკაციის გააქტიურებას სოფლებში და ახალი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების

საბადოების მოძიება-განვითარებას და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების მშენებლობას. ეს კი წინააღმდეგობაში მოდის ევროკავშირის სტრატეგიულ ხედვასთან (მაგალითად, ინდუსტრიის დეკარბონიზაცია, სუფთა საწვავის მხარდაჭერა, გათბობის დაბალემისიანი გადაწყვეტილებების დანერგვა ან ნახშირბადზე ფასწარმოქმნის მექანიზმების შემუშავება) და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წინაშე აღებულ ვალდებულებებთან.

ენერგიის გენერაცია და მიწოდება

NDC 3.0 მიხედვით (პარაგრაფი 25, 26), „2030 წლისთვის საქართველო გეგმავს ენერგიის გენერაციის და მიწოდების სექტორიდან სათბურის აირების ემისიების 15%-ით შეზღუდვას „ღონისძიებების გატარების გარეშე“ (WOM) სცენართან შედარებით, რომელიც აღწერილია ქვეყნის ორწლიურ გამჭვირვალობის ანგარიშში (BTR). იმის გათვალისწინებით, რომ ელექტროენერგიის გენერაციაში განახლებადი ენერგიის წილი ამჟამად ისედაც მაღალია, საქართველო აპირებს ამავე სამიზნე მაჩვენებლის შენარჩუნებას 2035 წლისთვის“. ამასთან საქართველო გეგმავს დეტალური კვლევის ჩატარებას, რათა „განსაზღვროს პროექტები, რომელთა განხორციელება შესაძლებელია სახელმწიფოს მხარდაჭერით, კლიმატთან დაკავშირებული საერთაშორისო შეღავათიანი დაფინანსებით და ასევე, მაღალი ფასისა და მნიშვნელობის მქონე ისეთი პროექტები, რომელთა განხორციელებისთვის გამოყენებული იქნება პარიზის შეთანხმების მხარეთა შორის თანამშრომლობის მიდგომები“.

სამწუხაროდ, მსგავსი ჩანაწერი ძალიან ზოგადი და ბუნდოვანია. პრაქტიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ აქცენტი კვლავ კეთდება ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაზე, სადაც გამოყენებულია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი თუ ირიბი სუბსიდირების მექანიზმები. ქვეყნის ენერგოსექტორის სტრატეგიული დაგეგმვის არარსებობის პირობებში კი ახალი ჰესები უქმნის ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემას უსაფრთხოების პრობლემებს, როგორც ეს ნახსენებია საქართველოს სახელმწიფო ენერგოსისტემის მიერ მომზადებულ ანგარიშში, განსაკუთრებით გაზაფხულის პერიოდში.

ენერგოეფექტურობა, დივერსიფიკაციის აუცილებლობა, მზისა და ქარის მიკროსადგურები და აქტიური მომხმარებლების მხარდაჭერა დოკუმენტში ნახსენები საერთოდ არაა. პირიქით, ვხედავთ ამ მიმართულებით ისეთი ხელოვნური ბარიერების შექმნას, როგორიცაა მზის მიკროსადგურების ქსელში ჩართვის შეჩერება განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, ინდიკატორული მიზნებისა და ამოცანების არარსებობის პირობებში, „დეკლარირებული ამბიციური მიზნები“ ფორმალურ ხასიათს ატარებს, განახლებადი ენერგიის სიმბოლური მხარდაჭერა კი მხოლოდ ჰესების პოპულარიზაციას ემსახურება და რეალურად ვერ ქმნის ენერგიის გენერაციის დივერსიფიკაციის შესაძლებლობებს.

ენერგოეფექტურობა

მართალია, საქართველოს NDC 3.0 ფორმალურად გულისხმობს ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას, თუმცა ენერგოეფექტურობა არ არის წარმოჩენილი როგორც ენერგეტიკული მოხმარებისა და სათბური აირების შემცირების ყველაზე ხელმისაწვდომი გზა მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში.

მართალია ქვეყნის NECP დოკუმენტში ენერგოეფექტურობა მიჩნეულია როგორც ენერგეტიკული გარდაქმნის საკვანძო ელემენტი, თუმცა ის განიხილება როგორც ცალკეული შენობების განახლების მიმართულებად და არა გამჭოლი ღონისძიებების ერთობლიობად, რომელსაც მნიშვნელოვანი ზამოქმედება აქვს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ხარისხის ზრდაზე.

ენერგოეფექტურობის გაზრდისთვის, არ არის განსაზღვრული სახელმწიფოს მხრიდან, ფინანსური წახალისების მექანიზმის შექმნაც, ისეთის როგორიცაა მაგალითად, სხვადასხვა სუბსიდირების პაკეტების შემუშავება (სუბსიდიები, ხელმისაწვდომი კრედიტები ან გრანტები მოწყვლადი

კატეგორიებისთვის.). ნაცვლად ამისა, დოკუმენტში ხაზი ესმევა ქვეყანაში ფინანსური რესურსების შეზღუდულ შესაძლებლობებს და მსგავსი მექანიზმის დამოუკიდებლად შექმნის შეუძლებლობას. ფინანსური ბერკეტების გარეშე კი, ენერგოეფექტურობა დარჩება მხოლოდ დეკლარაციად.

ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის მსგავსად, NDC 3.0-შიც ენერგოეფექტურობის ნაწილი მოჩვენებითია და ვერ პასუხობს მის ნამდვილ საჭიროებას საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისა და ემისიების შემცირების მიმართულებით. პრაქტიკულად, დოკუმენტში ენერგოეფექტურობა, როგორც ენერგოუსაფრთხოებისა და მწვანე გარდაქმნის საკვანძო ელემენტი ნახსენებიც კი არ არის.

ადაპტაცია კონკრეტული მიზნებისა და ღონისძიებების გარეშე

დოკუმენტის ადაპტაციის ნაწილი, მიუხედავად გაცხადებული ინკლუზიურობისა, არ პასუხობს ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს. ადაპტაციის მიმართულებით ჩამოთვლილი ქმედებები რჩება ზოგად ჩამონათვლად - „შეძლებისდაგვარად განაგრძოს მართული ტყისა და ნიადაგის ნახშირბადის მარაგის აღრიცხვა“, „გეგმავს გააძლიეროს ძალისხმევა“ — რაც არსებითად ვერ პასუხობს ადაპტაციას, როგორც სისტემურ პოლიტიკას. საზოგადოებისა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობა და ადგილობრივ დონეზე ადაპტაციის ღონისძიებებში მონაწილეობის ფორმატები დეტალებში გაწერილი საერთოდ არ არის.

დასკვნა

NDC 3.0 ფორმალურად ასახავს საერთაშორისო ვალდებულებებს, მაგრამ ვერ პასუხობს საქართველოს რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ, ენერგეტიკულ თუ კლიმატურ მოთხოვნებს. საბაზისო წლის შერჩევით ხელოვნურად იქმნება ემისიების შემცირების ილუზია; დეკარბონიზაციის, განახლებადი ენერგიისა და ადაპტაციის მიმართულებები კი სისტემური გარდაქმნების სურვილის ნაცვლად, დეკლარაციული და ფორმალური ჩანაწერებია, რომელიც წლიდან წლამდე მეორდება. ენერგოეფექტურობა კი სხვა დოკუმენტებისგან განსხვავებით ცალკე ქვეთავადაც კი არ არის გამოყოფილი.

მიგვაჩნია, რომ დოკუმეტი მნიშვნელოვანია არამარტო „ვალდებულებების შესრულების გამო“, არამედ იმ გამოწვევების საპასუხოდ, რასაც კლიმატის ცვლილება უქადის საქართველოს. შესაბამისად, აუცილებელია გაიწეროს, როგორ განისაზღვრა საბაზისო სცენარი, რა აქტივობებს მოიცავდა და რა აქტივობებზე იყო უარი ნათქვამი, რაც ამ დოკუმენტში არ მოხვდა. დოკუმენტი უნდა განახლდეს, დაემატოს გამოტოვებული საკითხები და დეტალურად განიმარტოს ქვეყნის მიერ დასახული გეგმები საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ.